სურათის აღწერა (წერილი სერიიდან ,,სწავლის ძირი”)

,,მეექვსე სურათის აღწერით” ვაგრძელებთ ჩვენი სერიის ,,სწავლის ძირი” მე-6, მე-7, მე-11, მე-14 და მე-16 წერილებში წარმოდგენილ სურათების აღწერებს. ეს წერილიც მიუყვება წინა წერილების სტრუქტურას და ყურადღებას ამახვილებს ქართული ანბანის მომდევნო ხუთ ბგერაზე:

ღ, ყ, შ, ჩ, ც

განსახილველ სასწავლო მონაკვეთშიც გამოყენებული იქნება ე. წ. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით დამზადებული ილუსტრაცია:

ღორი, ღრუბელი, ღობე
ყვავილი, ყორე, ყვავი, ყბა, ყური, ყელი
შეშა, შარვალი, შაქარი, შვილი
ჩირი, ჩიტი, ჩურჩხელა, ჩაქუჩი, ჩამჩა
ცეცხლი, ცხვარი, ცხენი, ციცარი, ცხვირი, ციყვი, ცისარტყელა

თუკი ჩვენს ილუსტრაციებს წინა წერილებში გამოყენებული რუბრიკის მიხედვით შევაფასებთ, დავრწმუნდებით, რომ ნამუშევარი:

- შეესაბამება პირველკლასელთა ინტერესებს, თემატიკას.
- ადვილად ,,იკითხება”, მკაფიოა მასზე ასახული სიტუაცია.
- იძლევა ინტერაქციის საშუალებას.
- ასახულია ისეთი საგნები, რომლებიც გამოგვადგება ფონოლოგიური და ფონეტიკური უნარების განვითარებისთვის.

ამ სასწავლო მონაკვეთის (დაახლოებით ერთკვირიანი პერიოდი ანუ სწავლის დაწყებიდან დაახლოებით მეშვიდე კვირა.) სამიზნე აქცენტებია:

- ზეპირმეტყველების განვითარება, თხრობისა და ამბის თანმიმდევრულად გადმოცემის უნარის გამომუშავება,
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება,
- ფონოლოგიური უნარების (სიტყვების დამარცვლა და ბგერებად დაშლა, პირველი, მეორე, **ბოლო და ბოლოსწინა** ბგერის ამოცნობა, ბგერების გამთლიანება, ხმოვანთა იდენტიფიცირება, ბგერებით მანიპულაციები) გამომუშავება,
- ფონეტიკური კომპეტენციის განმტკიცება ,,ღ”, ,,ყ”, ,,შ”, ,,ჩ”, ,,ც” ბგერებზე კონცენტრირებით,
- წინადადებებზე დაკვირვება და მათში სიტყვების გამოყოფა,
- კითხვისა (მთლიანი სიტყვების ცნობა) და წერის (წვრილი, ნატიფი მოტორიკის გამომუშავება, **საჩვენებელი წერა**) საწყისი უნარების ჩამოყალიბება.

თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ წინა ხუთი ილუსტრაციის მიხედვით წარმოდგენილ აქცენტებს დამატებულია **ბოლო და ბოლოსწინა ბგერებზე მანიპულაციები**. აქაც გართულებულია ბგერებით მარცვლების (ან ბგერათაჯგუფების) შექმნის მანიპულაციებიც. აგრეთვე, ჩართულია **საჩვენებელი წერის** კომპონენტი.

წინამდებარე წერილშიც ჩვენი სასწავლო მონაკვეთი წარმოდგენილია სურათებისა და მათი შესაბამისი აქტივობების აღწერით. აქტივობების აღწერა თან ერთვის შესაბამის ფოტოს. აქტივობათა ლოგიკური თანმიმდევრობა მიუყვება წინა წერილებში გააქტიურებული ბგერების (**ა, ბ, გ; დ, ე, ვ, ზ; თ, ი, კ, ლ, მ; ნ, ო, პ, ჟ, რ** და **ს, ტ, უ, ფ, ქ**) მიხედვით შექმნილ სასწავლო მონაკვეთებს.

სურათებისა და აქტივობების ნიმუშები

I ფოტო

როგორც ვნახეთ, ვმუშაობთ ე. წ. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შექმნილი ილუსტრაციის მიხედვით ,,**ჩურჩხელების ამოვლება“.** აღარ შევჩერდებით ილუსტრაციის წარდგენისას ინტერაქციის საჭიროებაზე. უბრალოდ, ჩამოვწეროთ შეკითხვების ვერსიები:

- ვინ არიან ილუსტრაციაზე?
- სად არიან ისინი? რას შვრებიან? როგორ ხასიათზე არიან? რატომ?
- კიდევ რა არის ეზოში?
- რას შვრება დედა? ბებია? ბიჭი?..
- წელიწადის რა დროა? როგორ ვხვდებით?

მნიშვნელოვანია, ილუსტრაციის პირველივე წარდგენისას გამოვკვეთოთ აქ შერჩეული საგნები და მათი დასახელებისას ხაზგასმით დავმარცვლოთ და ბგერებად დავშალოთ პირველ ფოტოზე ცალკე გამოყოფილი თითოეული სიტყვა და დამარცვლითაც გავამეორებინოთ მოსწავლეებსაც და ბგერა-ბგერა ნათქვამიც ამოვაცნობინოთ. სიტყვების დამარცვლა უკვე ათვისებული კომპეტენციაა და ამაზე ამ მონაკვეთში დიდი დროც არ დაიხარჯება. ხოლო ბგერებზე მანიპულაციებს ქვემოთ მივაქცევთ უფრო მეტ ყურადღებას.

(კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ამ და სხვა აქტივობების დაწვრილებით აღწერები აქ არაა წარმოდგენილი და მხოლოდ იდეებია მოწოდებული. ეს იდეები სხვადასხვაგვარად უნდა გაიშალოს სხვადასხვა საკლასო ოთახში. ცხადია, უფრო მეტი ყურადღება და დრო

დასჭირდებათ იმ მოსწავლეებს, რომელთათვისაც ქართული არაა მშობლიური ენა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სამიზნე ბგერათაგან უმეტესობის — **ღ, ყ, ჩ, ც** — ზუსტად აღქმა და წარმოთქმა უჭირთ ხოლმე ენის შემსწავლელებს და ერევათ ერთმანეთში — ,,ღ“ ერევათ ,,ყ”-ში, ,,ჩ” ერევათ ,,ც”-ში.)

II ფოტო

მეორე ფოტოზე უკვე მარცვალთა რაოდენობის მიხედვით დაჯგუფებული საგნებია.

როგორც წინა მონაკვეთების განხილვისას, ამ დროსაც უკვე მიზანმიმართულად გადავანაწილებთ ჩვენ მიერ შერჩეული სიტყვების სურათებს წინასწარ მომზადებულ სქემაში — დავყოფთ სიტყვებს მარცვალთა რაოდენობის მიხედვით.

რადგან ასეთ აქტივობაში ბავშვები უკვე ნავარჯიშები არიან, მათი როლი შედარებით აქტიური იქნება. კარგი იქნება, თუკი ჯგუფებშიც დავურიგებთ სქემებსა და სურათებს და ვთხოვთ დავალების შესრულებას და შემდეგ ნამუშევრების პრეზენტაციას.



აქ სურათების ,,დაჭრილი” ვერსიაა შემოთავაზებული, რაც მოსწავლეთა დიდი ნაწილისთვის საჭირო აღარ იქნება.

მარცვლებზე ყურადღების კიდევ ერთხელ შეჩერება, ერთი მხრივ, უნარის გამეორება-განმტკიცებას ისახავს მიზნად ახალი სიტყვების გამოყენებით, მეორე მხრივ, ბგერებზე ვარჯიშისთვისაც ვემზადებით.

III-VI ფოტოები

მე-3 ფოტოზე წარმოდგენილ საგნებზე ვარჯიშით ჩვენ სიტყვების ბგერებად დაშლაში ვწაფავთ ბავშვებს. აქ მარცვლები და ბგერები ერთადაა წარმოდგენილი, თუმცა სურათები უკვე ბგერების რაოდენობის მიხედვითაა ,,დაჭრილი".



ეს სიტყვებია: **ცა, ყბა, ღობე, ყური, შეშა, ჩიტი, ყვავი, შვილი, ჩამჩა, ცოცხი, ცეცხლი, ცაცხვი, შაქარი, ციცარი, ჩაქუჩი, ყვავილი, შარვალი, ჩურჩხელა.** შევაფასოთ ეს სიტყვები სირთულის მიხედვით: შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაა რთული სიტყვები ადვილია მათი ბგერებად დაშლაც და ბგერა-ბგერა ნათქვამი ამ სიტყვების ამოცნობა, გამთლიანება მოსწავლეების მიერ. აქ წარმოდგენილია ერთმარცვლიანი ორბგერიანი და სამბგერიანი, ორმარცვლიანი ოთხბგერიანი, ხუთბგერიანი და ექვსბგერიანი სიტყვები, სამმარცვლიანი ექვსბგერიანი, შვიდბგერიანი და რვაბგერიანი სიტყვები.

თეორიული ჩანართი: როდესაც სიტყვათა სირთულეზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ორმარცვლიანი სიტყვა (ცეცხლი, ცაცხვი...) უფრო რთულია, ვიდრე ზოგიერთი

სამმარცვლიანი (ჩაქუჩი, შაქარი, ციცარი...). ამ კონტექსტში შეგვიძლია გამოვიყენოთ **წესიერი** და **არაწესიერი** სიტყვების ცნებები სიტყვებში ხმოვან-თანხმოვანთა მონაცვლეობის მიხედვით. წესიერია სიტყვა, რომელშიც თითოეულ თანხმოვანს მოსდევს მხოლოდ ერთი ხმოვანი, ხოლო არაწესიერია ყველა დანარჩენი თანმიმდევრობის სიტყვა. წესიერ სიტყვებს ბავშვურ ენაზე შეგვიძლია ვუწოდოთ თ-ხ-თ-ხ (თანხმოვანი-ხმოვანი) სიტყვები. რადგან სიტყვები დავაჯგუფეთ ხმოვან-თანხმოვანთა მონაცვლეობის მიხედვით, აუცილებლად უნდა გამოვყოთ არაწესიერ სიტყვებში ერთმარცვლიანი სიტყვები და მას ვუწოდოთ თ-ხ-თ სიტყვები, როგორიცაა: **წინ, ზის, მას, მის, ზედ, ზეგ, თან, ვახ, დიდ, ცას, ბუს**... მოგეხსენებათ, ასეთი (CVC) სიტყვები გაცილებით მრავლად და მრავალმნიშვნელოვნადაა ინგლისურში და სათანადო პედაგოგიკური აქცენტითაცაა გამოყენებული კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე.

გადავანაწილოთ ჩვენი სიტყვები ამ განმარტების მიხედვით:

წესიერი (თ-ხ-თ-ხ) სიტყვები	**არაწესიერი სიტყვები**
ცა, ღობე, ყური, შეშა, ჩიტი შაქარი, ციცარი, ჩაქუჩი,	ყბა, ყვავი, შვილი, ჩამჩა, ცოცხი, ცეცხლი, ცაცხვი, ყვავილი, შარვალი, ჩურჩხელა

როგორც ვხედავთ, აქ თ-ხ-თ სიტყვები არ გვაქვს, თუმცა ჩვენს პოსტერზე ზეპირი ინტერაქციისას უნდა გამოვიყენოთ ასეთი სიტყვები: წინ, ზის, მას... და ეს სიტყვებიც დავშალოთ ბგერებად, ბავშვებსაც მოვაფიქრებინოთ სხვა თ-ხ-თ სიტყვები... რასაკვირველია, ბავშვებს უადვილდებათ ე. წ. წესიერ სიტყვებზე მანიპულაციები, თუმცა ამავდროულად მშვენივრად აღიქვამენ და წარმოთქვამენ არაწესიერ სიტყვებს და მათზე მანიპულაციები გაწაფავთ ფონოლოგიურ კომპეტენციაში.

ქვემოთ, **მე-4 ფოტოზე** უკვე გამოყოფილია მარცვლები და ნათლად ჩანს, თუ რამდენი ბგერაა თითოეულ მარცვალში.

ამის შემდეგ, **მე-5 ფოტოზე**, ხმოვნებია. თითოეულ სიტყვაში გამოვყოფთ სათანადო ხმოვანს: **ა, ე, ი, ო, უ**. აქვე ვიხსენებთ უკვე კარგად ნაცნობ ხმოვნების სიმბოლურ გამოსახულებებს, რომელთა გამოსახვაც ბავშვებს ხელის თითებითაც შეუძლიათ. ხელის თითებმა აქ საკვანძო როლი უნდა ითამაშოს, სწორედ საკუთარ ხელებზე დაკვირვება უბეჭდავს ბავშვს გონებაში ხმოვანთა სიმბოლურ გამოსახულებებს ანუ ასოებს და კვლავ ვიხსენებთ, რომ:

- **ა** არის მარცხნივ და ოდნავ ზემოთ მიმართული ღია რგოლი (მარჯვენა ხელის ბუნებრივი მდგომარეობა);
- **ე** არის მარცხნივ მიმართული ღია რგოლი;
- **ი** არის დაბლა მიმართული ღია რგოლი;
- **ო** არის დაბლა მიმართული ორთავიანი ღია რგოლი (ამისთვის დაგვჭირდება მარცხენა ხელის თითებიც);
- **უ** არის მარცხნივ მიმართული ორთავიანი ღია რგოლი.





ხმოვნების გახსენების შემდეგ ყველა სიტყვაში ამოვიცნობთ თითოეულ ხმოვანს, რისთვისაც **მე-6 ფოტოზე** გამოსახული რესურსი დაგვეხმარება:

VII-XI ფოტოები

მე-7 ფოტოზე სიტყვები პირველი ბგერის მიხედვითაა შეთავაზებული. რასაკვირველია, ამ სლაიდის/პოსტერის პრეზენტაციისას მასწავლებელი ჯერ თვითონ დამარცვლავს და ბგერებად დაშლის სიტყვებს, შემდეგ იმავეს გააკეთებინებს მოსწავლეებს.



პირველი ბგერის იდენტიფიცირებაზე ვარჯიშს უფრო საინტერესოს გახდის მე-8 ფოტოზე ასახული რესურსი:

აქ ბავშვებმა უნდა ამოიცნონ, რომ პირველ მწკრივში დალაგებულ სიტყვებში ზედმეტია **ყური**, მეორეში — **ჩიტი**, მესამეში კი — **ცხვარი**.

ეს კომპეტენცია, წესითა და რიგით, უკვე ათვისებული აქვთ ჩვენს პირველკლასელებს და არც ამ, თუნდაც უცნობ სიტყვებზე გაუჭირდებათ. წინა წერილში ანუ ,,მეხუთე სურათის აღწერაში" უკვე ვივარჯიშეთ სიტყვაში მეორე ბგერის იდენტიფიცირებაში. ამჯერადაც თითოეული სიტყვის დაშლისას მოსწავლეებს დავასახელებინებთ მეორე ბგერასაც. ამ დროს, სხვათა შორის, გამოგვადგება შემდეგი მითითებები:

- დაასახელეთ ამ სიტყვაში (ვუთითებთ სურათზე) მეორე ბგერა;
- რომელ სიტყვაშია მეორე ბგერა ,,ყ"? კიდევ? ,,ი"? კიდევ?

ამ კომპეტენციის გადამოწმებასა და განმტკიცებაში დაგვეხმარება **მე-10 ფოტოზე** ასახული რესურსიც, რომლის მსგავსიც განვიხილეთ წინა წერილში და რომელიც ითვალისწინებს სიტყვებში ,,ზედმეტის" ამორჩევას მეორე ბგერის მიხედვით. თუმცა მანამდე ვნახოთ **მე-9 ფოტო**, რომელზეც ასეთივე ტიპის დავალებაა, ოღონდ პირველ ორ ბგერაზე. მიგვაჩნია, რომ ეს უფრო ადვილია:

- პირველ რიგში განთავსებულ სიტყვებში (ჩირი, ჩაქუჩი, ჩიტი) ზედმეტია ,,**ჩაქუჩი”**, რადგან მასში პირველ-მეორე ბგერა არის ,,ჩა”, ხოლო დანარჩენში — ,,ჩი”.
- მეორე რიგის სიტყვებში (ცისარტყელა, ცხვარი, ციყვი, ციცარი) ზედმეტია **,,ცხვარი”**, რადგან მასში პირველ-მეორე ბგერა არის ,,ცხ”, ხოლო დანარჩენში — ,,ცი”.
- მესამე რიგის სიტყვებში (შარვალი, შეშა, შაქარი) ზედმეტი არის **,,შეშა”**, რადგან მასში პირველ-მეორე ბგერა არის ,,შე”, ხოლო დანარჩენში — ,,შა”.

მე-10 ფოტოზე უკვე მხოლოდ მეორე ბგერის ამოცნობაზეა აქცენტი:

აქ პირველ მწკრივში ზედმეტია ,,**ციყვი**”, რადგან მასში მეორე ბგერაა ,,ი”, ხოლო დანარჩენებში — ,,ხ”. მეორე მწკრივში ზედმეტია ,,**შეშა**”, რადგან მასში მეორე ბგერაა ,,ე”, ხოლო დანარჩენებში — ,,ო”. მესამე მწკრივში კი ზედმეტია ,,**ჩაქუჩი**”, რადგან მასში მეორე ბგერაა ,,ა”, ხოლო დანარჩენებში — ,,ი”.

საინტერესოა, რამდენად მოახერხებენ პირველკლასელები ბოლოსწინა ბგერის ამოცნობას. ამისთვის დაგვეხმარება **მე-11 ფოტოზე** ასახული სლაიდის რესურსი:

აქ პირველ მწკრივში ზედმეტია ,,**ციცარი**”, მეორეში — ,,**შეშა**”, მესამეში — ,,**ცისარტყელა**”.

როგორც წინა წერილშიც აღვნიშნეთ, არ ღირს ასეთი ვარჯიშების უგულებელყოფა, რადგან მალე ეს ფონოლოგიური კომპეტენცია საგრძნობლად წაადგებათ ბავშვებს დეკოდირებისა (დაწერილის ამოკითხვა) და კოდირების (წერის) პროცესში. მეტიც: თუკი პირველკლასელი მე-11 ფოტოზე ასახული სავარჯიშოს მსგავს ამოცანებს შეარსულებს, მას ამოკითხვა აღარ გაუჭირდება.

XII-XVIII ფოტოები

მეთერთმეტე-მეთვრამეტე ფოტოებზე შემოთავაზებულია ბგერებით მარცვლების (წყვილბგერების ან ბგერათა სამეულების) შედგენის სავარჯიშოები. ეს და მსგავსი აქტივობები თუკი სახალისო თამაშის ფორმატში წარიმართება, ბავშვები შეუმჩნევლად მოამზადებენ წერა-კითხვის სწავლის საიმედო საფუძველს.



მე-11 ფოტოს მიხედვით შემდეგი მარცვლები უნდა ,,ამოიკითხონ” ბავშვებმა:

- 1-ელი სვეტი — ღა, ღე, ღი, ღო, ღუ
- მე-2 სვეტი — ყო, ყე, ყი, ყა, ყუ
- მე-3 სვეტი — შე, შუ, ში, შო, შა
- მე-4 სვეტი — ჩი, ჩე, ჩო, ჩუ, ჩა
- მე-5 სვეტი — ცუ, ცო, ცი, ცა, ცე

ვნახოთ შემდეგი, **მე-12 ფოტო**, რომელზეც ბგერათა სიმბოლურ გამოსახულებებთან ერთად ნამდვილი ასო-ხმოვნებია წარმოდგენილი:



ბავშვები ადვილად აღმოაჩენენ მათ მიერ საკუთარი თითებით გამოსახული სიმბოლოებისა და ნამდვილ ასოებს შორის მსგავსებას.

შემდეგ, **მე-13 ფოტოზეც** მსგავსი პრინციპითაა მარცვლების შედგენა საჭირო:

როგორც ვხედავთ, აქ უკვე სრულადაა ჩანაცვლებული ჩვენეული სიმბოლოები ნამდვილი ასო-ხმოვნებით, ხოლო ,,წასაკითხი” მარცვლები იქნება:

- 1-ელი სვეტი — **ღა, ყა, შა, ჩა, ცა**
- მე-2 სვეტი — **ღე, ყე, შე, ჩე, ცე**
- მე-3 სვეტი — **ღი, ყი, ში, ჩი, ცი**
- მე-4 სვეტი — **ღო, ყო, შო, ჩო, ცო**
- მე-5 სვეტი — **ღუ, ყუ, შუ, ჩუ, ცუ**

თუკი მწკრივში ,,წავიკითხავთ” ამ მარცვლებს, მივიღებთ: **ღა, ღე, ღი, ღო, ღუ; ყა, ყე, ყი,ყო, ყუ** და ა. შ.

მე-14 სურათზე უკვე ხმოვანთა სამეულები უნდა შევადგინოთ — სიტყვის პირველ ორ ბგერას ემატება ბგერა-ხმოვნები:



მიიღება: **ღრა, ყვე, შაი,ჩიო, ცეუ**.

შემდეგ, **მე-15 ფოტოზე** იგივე პრინციპია გამოყენებული:

წასაკითხი ბგერათსამეულები იქნება:

- 1-ელი სვეტი — **ღრა, ყვა, შაა, ჩია, ცეა**
- მე-2 სვეტი — **ღრე, ყვე, შაე, ჩიე, ცეე**
- მე-3 სვეტი — **ღრი, ყვი, შაი, ჩიი, ცეი**
- მე-4 სვეტი — **ღრო, ყვო, შაო, ჩიო, ცეო**
- მე-5 სვეტი — **ღრუ, ყვუ, შაუ, ჩიუ, ცეუ**

მარცვლების (ან ბგერათჯგუფების) შესადგენად სხვაგვარი სქემაა შემოთავაზებული **მე-16 ფოტოზე**. ამასთან, მარცვალს უკვე ხმოვანი იწყებს:



აქ შემდეგი მარცვლები უნდა მივიღოთ:

- 1-ელი გროვა — **აღ, აყ, აშ, აჩ, აც**
- მე-2 გროვა — **ეღ, ეყ, ეშ, ეჩ, ეც**
- მე-3 გროვა — **იღ, იყ, იშ, იჩ, იც**
- მე-4 გროვა — **ოღ, ოყ, ოშ, ოჩ, ოც**
- მე-5 გროვა — **უღ, უყ, უშ, უჩ, უც**

ამავე პრინციპით უნდა შევადგინოთ ბგერათსამეულები **მე-17 ფოტოს** მიხედვით:



,,წასაკითხი” სამეულები:

- 1-ელი გროვა — **აღო, აყვ, აშა, აჩუ, აცი**
- მე-2 გროვა — **ეღო, ეყვ, ეშა, ეჩუ, ეცი**
- მე-3 გროვა — **იღო, იყვ, იშა, იჩუ, იცი**
- მე-4 გროვა — **ოღო, ოყვ, ოშა, ოჩუ, ოცი**
- მე-5 გროვა — **უღო, უყვ, უშა, უჩუ, უცი**

ისევ ბგერათსამეულები უნდა ,,წავიკითხოთ” **მე-18 ფოტოზეც**, ოღონდ ვამატებთ სიტყვის ბოლო ორ ბგერას:



მიღებული სამეულები აქ იქნება:

- 1-ელი გროვა — **არი, ალი, ალი, ალა, არი**
- მე-2 გროვა — **ერი, ელი, ელი, ელა, ერი**
- მე-3 გროვა — **ირი, ილი, ილი, ილა, ირი**
- მე-4 გროვა — **ორი, ოლი, ოლი, ოლა, ორი**
- მე-5 გროვა — **უღო, უყვ, უშა, უჩუ, უცი**

XIX-XXI ფოტოები

შემდეგ სამ ფოტოზე ასახული რესურსები, როგორც ადრეც შევთანხმდით, წინასაანბანო პერიოდში გამოსაყენებელი არაა. ისინი გამოგვადგება უკვე ანბანის შესწავლისა და შემდგომ პერიოდშიც.

მე-19 ფოტოზე ბავშვები აკავშირებენ ერთმანეთს ბგერათკომბინაციასა და ასოთკომბინაციას:

ასევე **მე-20 ფოტოზე**:

და **21-ე ფოტოზე**:

ოღონდ აქ გამოყენებულია სიტყვის ბოლო ორი ბგერა.

XXII-XXIV ფოტოები

22-ე ფოტოზე წარმოდგენილ პოსტერზე ასახულია ჩურჩხელების ამოვლების თანმიმდევრული პროცესი. პოსტერის ჩვენებისას მასწავლებელი ხმამაღლა იმეორებს წინადადებებს და თითოეული სიტყვის წარმოთქმისას ხელს ადებს შესაბამის სიტყვას:

ჩურჩხელების ამოვლება

კაკლის დამტვრევა და გარჩევა

წიგვზის ძაფზე ასხმა და ჯოხზე ჩამოკიდება

თათარას აწუ ფელამუშის მოდუღება

ჩურჩხელების ფელამუშში ამოვლება და მათი ჯოხზე ჩამოკიდება.



23-ე ფოტოზე უკვე ეს პროცესი აღწერილია:

ჩურჩხელების ამოვლება

ბებიამ და ბიჭმა კაკალი დაამტვრიეს და გაარჩიეს.

ბებიამ გარჩეული და დაჭრილი წიგოზი ძაფზე აასხა და ჯოხზე ჩამოკიდა.

დედამ ბადაგით ფელამუში მოადუღა.

დედამ ცხელ ფელამუშში ჩურჩხელები ამოავლო და ჯოხზე ჩამოკიდა.

რამდენი ჩურჩხელა კიდია ჯოხზე?
ერთი ჩურჩხელა, ორი ჩურჩხელა, სამი ჩურჩხელა, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...

მნიშვნელოვანია, რომ აქ გამოსახული ტექსტი მზამზარეული კი არ წარვდუგინოთ მოსწავლეებს, არამედ დავწეროთ მათ თვალწინ დაფაზე გაკრულ დიდ ფურცლებზე. ენობრივი პრაქტიკის ეს აქტივობა მრავალმხრივ სასარგებლოა მოსწავლეთა კითხვისა და წერის საწყისი უნარების განვითარებისთვისაც. დაწვრილებით იხ.: 34.12. ენობრივი პრაქტიკა (მე-12 წერილი სერიიდან ,,სწავლის ძირი”) - mastsavlebeli.ge

XXIV-XXVI ფოტოები

24-ე ფოტოზე ბარათების გადანაწილებით ბგერების შესატყვისი ასოების საჭირო ადგილსაც დაიმახსოვრებენ არაცნობიერად ქართული ანბანის ოთხხაზიან ბადეში.

აქაც სიტყვის საწყისი ასოს შესაბამისი ბარათი ისევ ,,თავის ადგილზეა” მოთავსებული ამ ბადეში. კერძოდ, ,,ღორი” ქვედა ორ ზოლშია, როგორც ,,ღ”,
ასევეა ,,ყვავილი”, ,,ცეცხლი”, ,,ღობე” და ,,ცაცხვი”. ხოლო ,,შარვალი”, ,,ჩაქუჩი”
და ,,ჩურჩხელა”— ზედა ორ ზოლში.

25-ე ფოტოზე ასახული რესურსის მიხედვით ბავშვებს გავაფერადებინებთ შესაბამის ბგერებს. ამასთან, გამოკვეთენ ხმოვნებსა და თანხმოვნებს:



26-ე ფოტოს მიხედვით, ერთი მხრივ, კვლავ წერის საწყისი უნარების განვითარებაა გათვალისწინებული, მეორე მხრივ კი, კიდევ ერთხელ განმტკიცდება სიტყვებში ბგერების (მათ შორის, ხმოვნების) ამოთვლის ახალშეძენილი უნარი. აქ, წინა მონაკვეთებისგან განსხვავებით, კიდევ უფრო გართულებულია ამოცანა და ბავშვებს უკვე პირდაპირ ხმოვნის შესაბამისი ასოების დაწერას ვთხოვთ. ვფიქრობ, ბევრს გამოუვა, ხოლო მოსწავლეთა ის ნაწილი, რომელიც სათანადოდ ვერ დაწერს ასოებს, ამის გამო არ უნდა დავთრგუნოთ.



XXVII-XXVIII ფოტოები

27-ე და 28-ე ფოტოებზე ასახულ აქტივობებს უკვე შეჩვეულები ჩვენი პირველკლასელები. ისინი ნახატ-წარწერიან ბარათებს აკავშირებენ შესაბამის წარწერებთან. წინა მონაკვეთში ამოცანის გადაჭრა ერთგვარად გავართულეთ, როდესაც ერთ რესურსზე ფერები მოვაშორეთ. ასეთ გადაწყვეტილებას მასწავლებელი მიიღებს მოსწავლეთა მოსწრებაზე დაკვირვების საფუძველზე.

27-ე ფოტო:



28-ე ფოტო

XXIX-XXXII ფოტოები

29-ე ფოტოს მიხედვით წარმოდგენილი დავალებაც ნაცნობია ჩვენი მოსწავლეებისთვის — საწყისი ბგერის მიხედვით სურათების გადაჯგუფება სვეტებში. როგორც წინა წერილებში

აღვნიშნეთ, შეგვიძლია ისეთი ნახატებიც შევთავაზოთ ბავშვებს, რომლებიც ამ ეტაპზე არ გააქტიურებულა.

30-ე ფოტოზე მოცემული დავალების მსგავსიც შევთავაზეთ ბავშვებს წინა წერილებში:

31-ე ფოტოზე შედარებით ახალი ტიპის დავალებაა ასახული.

ბავშვებმა ხმოვანთა ბარათები უნდა მოათავსონ შესაბამის ადგილზე:



32-ე ფოტოზე ნაჩვენებია დავალება, რომლის შესასრულებლადაც მოსწავლეებმა სურათებს უნდა შეუსაბამონ წარწერები. ამის გამოცდილებაც აქვთ უკვე ჩვენს პირველკლასელებს, რაც წინა წერილებში უკვე აღწერილია.

ბოლოს, ტრადიციული, ამ სასწავლო მონაკვეთის გამამთლიანებელი დავალება: ბავშვები მცირე ჯგუფებში მუშაობენ, რათა დაამზადონ საწყისი ილუსტრაციის მსგავსი აპლიკაცია **,,ჩურჩხელების ამოვლება"** შეთავაზებული რესურსების (ფერადი ფურცლები,

გამოჭრილი ფიგურები, წარწერებიანი ბარათები, რეალური საგნები, ფერადი ფანქრები...) გამოყენებით. იმისდა მიხედვით, თუ რა რესურსებს შევთავაზებთ ბავშვებს, შესაძლოა დამზადდეს სხვა კონტექსტის (ოთახი, ქალაქის ეზო, სკოლის ეზო...) ამ დავალების შესრულებაც სასარგებლო იქნება ციფრულადაც. კარგი იქნება დიორამების დამზადებაც, რა დროსაც გამოვიყენებთ სიტყვის ბარათებსაც — წარწერიან ფურცლებს.